

შპს ჰაუსარტ ლუქსი ს/ნ 205255551

2020 წელის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ინდივიდუალური საერთო დანიშნულების
ფინანსური ანგარიშგება

შპს ჰაუსარტ ლუქსი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
შემოსავალი	11,149,897	33,849,408
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(8,362,423)	(28,895,483)
საერთო მოგება	2,787,474	4,953,925
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	(1,693,424)	(2,889,562)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	(268,615)	(1,395,116)
საოპერაციო მოგება	825,434	669,247
საპროცენტო შემოსავალი	(256,566)	(433,512)
პერიოდის მოგება	568,868	235,735
სრული შემოსავალი	568,868	235,735

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დიმიტრი ვაჩნაძე

მთავარი ბუღალტერი

თეა მანჩხაშვილი

შპს ჰაუსარტ ლუქსი

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წელის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
სამშენებლო ჯიხური	1,998	1,998
ავტომანქანა	7,489	11,978
მოწყობილობები და დანადგარები	416,128	431,888
სულ გრძელვადიანი აქტივები	425,616	445,864
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	1,926,585	5,713,020
ფული და ფულის ექვივალენტი	309,769	1,519,513
წინასწარ გადახდილი ავანსები	55,330	2,803,705
სულ მიმდინარე აქტივები	2,291,684	10,036,238
სულ აქტივები	2,717,300	10,482,102
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	200,00	200,00
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	972,603	403,735
სულ საკუთარი კაპიტალი	972,803	403,975
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები და ფინანსური იჯარა	1,368,200	3,945,485
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,368,200	3,945,485
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	376,297	6,132,682
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,717,300	10,482,102

სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს ჰაუსარტ ლუქსი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჰაუსარტ ლუქსი რეგისტრირებულია საქართველოში 02/06/2008 კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართით ქ. თბილისი, გამრეკელის 19, მისი ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო საქმიანობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება ან შესრულებულია მომსახურება. ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით დღგ-ს გარეშე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. შესაბამისად არ გააჩნია ბალანსზე გადავადებული გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის, ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო

მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირინაირად:

სასარგებლო მომსახურების

ვადა

მოწყობილობა -დანაგდარები	5-10
ავტოტრანსპორტი	10
სხვა	2-5

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ , როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგები აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ

ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) ფასდება

არადისკონტრირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით (ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით). უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

3. განმარტებითი შენიშვნები

4. ამონაგები

შემოსავალი 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციიდან	11,149,897	33,849,408
სულ	11,149,897	33,849,408

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ხელფასის ხარჯი	(1,517,354)	(2,611,817)
რეკლამის ხარჯი	(0)	(131,155)
სხვა ხარჯები	(684,118)	(1,336,636)
კომუნიკაციის ხარჯი	(9,590)	(188)
საბანკო ხარჯი	(7,544)	(21,231)
სულ:	(2,218,606)	(4,101,027)

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფული ბანკში	309,769	1,519,513
ფული სალაროში	0	0
სულ	309,769	1,519,513

7. მარაგები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სასაქონლო მარაგები	392,936	762,869
მზა პროდუქცია	1,533,649	4,950,151
სულ:	1,926,585	5,713,020

8. ძირითადი საშუალებები

	31.12.2020	31.12.2019
სამშენებლო ჯიხური	1,998	1,998
ავტომანქანა	7,489	11,978
მოწყობილობები და დანადგარები	416,128	431,888
სულ:	425,616	445,864

14. სესხები

მიღებული სესხები 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,368,200	3,945,484

მთავარი ბუღალტერი: თეა მანჩხაშვილი

დირექტორი: დიმიტრი ვაჩნაძე